# ახალი ხარაგაული

361 (20) 18 სექტემბერი, 2017 წ


## სასწავლო წლის დაწყება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს

15 სექტემბერს ხარაგაულის 25 საჯარო სკოლასა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში სასწავლო პროცესი განახლდა. ახალი სასწავლო წლის დაწყება სკოლის მოსწავლეებს, მშობლებსა და პედაგოგებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ მაღრაძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა ოთარ ღურსმანაშვილმა პირადად მიულოცეს.

„გილოცავთ ახალი, 2017 – 2018 სასწავლო წლის დაწყებას. ჩემს ბავშვობაში ეს დღე ყოველთვის დიდ სიხარულთან ასოცირდებოდა.განსაკუთრებულად მინდა, მივულოცო დღევანდელი დღე პირველკლასელებს. მათთვის სწორედ დღეს იწყება ცოდნის მწვერვალებისაკენ მიმავალი ურთულესი გზა, რომელსაც მხოლოდ ბეჯითი შრომითა და დიდი ინტერესით დაძლევენ.“-აღნიშნა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ მაღრაძემ.

№3 საჯარო სკოლის დირექტორმა, მარინე ხვედელიძემ, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად პირველკლასელებს კომპიუტერები გადასცა და წარმატებები უსურვა.

მოსწავლეებისა და მასწავლებლების დაჯილდოებით დაიწყო ახალი სასწავლო წელი №2 საჯარო სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნაძემ. მოსწავლეებმა კი პედაგოგებს მათთვის გაწეული ღვაწლისათვის მადლობა გადაუხადეს.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასწავლო წლის დაწყება მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე) და მამა ანტონმა (სულთანიშვილი) მიულოცეს. როგორც მეუფე მელქისედეკმა აღნიშნა, გიმნაზიაში მალე სარემონტო სამუშაოები კვლავ განახლდება და მოსწავლეები განათლების მიღებას საუკეთესო გარემოში გააგრძელებენ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, დავით კიკნაძის ინფორმაციით, ხარაგაულში სკოლის კარი წელს 192-მა პირველკლასელმა შეაღო. საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე კი სასკოლო წიგნებით სრულად უზრუნველყოფილი არიან.

თამარ მაღრაძე

## „ქართულმა ოცნებამ'' ხარაგაულის მოსახლეობას მერობის კანდიდატი, ნიკოლოზ თოფურიძე, წარუდგინა

9 სექტემბერს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, იმერეთის ვიცე გუბერნატორმა იოსებ ხახალეიშვილმა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ღურსმანაშვილმა ხარაგაულელ ამომრჩეველს „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატი ნიკოლოზ თოფურიძე წარუდგინეს. მინისტრმა თოფურიძე ღირსეულ კანდიდატად შეაფასა და ხაზი გაუსვა მის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას. სერგეენკომ მოსახლეობას განუმარტა, რომ ის სიკეთეები, რასაც ცენტრალური ხელისუფლება გპირდებათ, თქვენამდე რომ მოვიდეს, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ იქნება ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენელი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნიკოლოზ თოფურიძის მერობის პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ბევრად უფრო სწრაფად და შედეგიანად განვითარდება. დავით სერგეენკომ ბოლო წლებში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ სიახლეებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტი 2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, თითქმის 2,5-ჯერ, გაიზარდა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.

შეხვედრაზე ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ღურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ ბატონი ნიკოლოზი თავისი განვლილი გზით, ცოდნითა და გამოცდილებით გახლავთ სწორედ ის ადამიანი, ვინც ნამდვილად სჭირდება ხარაგაულს. „ნიკოლოზ თოფურიძე ბოლო ცხრა თვის განმავლობაში გახლდათ მუნიციპალიტეტის გამგებელი და დროის ამ მონაკვეთში გამოავლინა ყველა ის თვისება, რაც საჭიროა მერის თანამდებობაზე. მას აქვს კვალიფიკაცია და ყოველგვარი შესაძლებლობა, მართოს მუნიციპალიტეტი წარმატებულად. დარწმუნებული ვარ, ხარაგაულში აღმშენებლობის პროცესი შეუჩერებელი იქნება და უფრო მეტ მასშტაბებს შეიძენს,“- აღნიშნა დეპუტატმა.

იმერეთის ვიცე-გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი იმედს იტოვებს, რომ ხარაგაულელი ამომრჩეველი ამჯერადაც ღირსეულ არჩევანს გააკეთებს.

„ნიკოლოზ თოფურიძის გამგებლობის პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. დარწმუნებული ვარ, ეს პროცესები კვლავ გაგრძელდება ბატონი ნიკოლოზი თავის გუნდთან ერთად შეძლებს, ხარაგაულის ხვალინდელი დღე იყოს ბევრად უკეთესი.“ - განმარტა ხახალეიშვილმა.

ნიკოლოზ თოფურიძემ მმართველი გუნდის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ნდობისთვის და აღნიშნა, რომ მისი მერად არჩევის შემთხვევაში, ხარაგაულის ყველა სოფელში

რეაბილიტირებული გზა იქნება, რასაც გარე განათებისა და სოფლების გაზიფიცირების საკითხის მოგვარება მოჰყვება. თოფურიძემ ასევე აღნიშნა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი გახდეს ხარაგაულში ცხოვრება.

„დღეს მუნიციპალიტეტში უპრეცედენტო რაოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი იქნება. არც ერთი სოფელი არ დარჩება გზისა და ბუნებრივი აირის გარეშე, ამაზე სერიოზულად ვმუშაობ ცენტრალურ ხელისუფლებასთან. მაქვს თითოეული თქვენგანის მხარდაჭერის იმედი და ერთობლივი ძალებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდება“, -დასძინა ხარაგაულის მერობის კანდიდატმა.

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 21 ოქტომბერს გაიმართება.

ლელა გუგულაშვილი

## ბაზალეთში ბუნებრივი აირი ჩაირთო

12 სექტემბერს სოფელ ბაზალეთში „სოკარ-ჯორჯია გაზის“ იმერეთის რეგიონის ფილიალის მენეჯერმა, ლევან აბაშიძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ და ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა ბუნებრივი აირი სიმბოლურად ჟუჟუნა ნანიტაშვილის ოჯახში აანთეს.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, დღეს, პირველ ეტაპზე, ბაზალეთის 35 ოჯახი გამრიცხველიანდა. „მუშაობას ვაგრძელებთ და იმ დაპირებას, რომ წლის ბოლომდე ხარაგაულის ექვსივე სოფელი იქნება გაზიფიცირებული, ვასრულებთ. მალე თეთრაწყაროს ნაწილს ჩავრთავთ, ბაზალეთშიც პარალელურად გრძელდება მუშაობა და სხვა უბნებიც ჩაირთვება. შემდეგ გადავალთ ჩხერსა და ახალსოფელში“- განაცხადა ლევან აბაშიძემ.

არჩილ მაღრაძემ ეს მნიშვნელოვანი დღე ბაზალეთის მოსახლეობას ქალბატონი ჟუჟუნას ოჯახიდან მიულოცა და აღნიშნა, რომ სოფელში გზა და ბუნებრივი აირი მთავარი კომპონენტებია სოფლის განვითარებისთვის და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახების არსებობისთვის.

ჟუჟუნა ნანიტაშვილმა მადლობა გადაუხადა კომპანიის თანამშრომლებს და ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ეს დაუჯერებელი ამბავი, რეალობად აქციეს.

იზა ვეფხვაძე-სოფელ ბაზალეთის მცხოვრები: „ბაზალეთს ძალიან აქტიური და თავდადებული დეპუტატი ჰყავს. მისი გულისხმიერებით სოფელში ბოლო წლებში ბევრი სასიკეთო პროექტი განხორციელდა. მან იცის ყველა ოჯახის ტკივილი, გასაჭირი, გულთან მიაქვს მათი პრობლემა, ცდილობს, რომ დაეხმაროს მაქსიმალურად.

ვფიქრობ, მომავალ არჩევნებში ბატონ ვარლამ ჭიპაშვილს ალტერნატივა არ აქვს და კვლავ დიდი მხარდაჭერა ექნება ბაზალეთის თემიდან, რასაც უდავოდ იმსახურებს.“

# „ოქროს'' სპექტაკლი „ოქროს ფონდში...''

რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით დიდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრების არსს, მის შემოქმედებით სამყაროს, მით უფრო ცხადად გამოიკვეთება თითოეულ ჩვენგანში სამომავლო საქმეთა კონტურები უკეთესი საქართველოსათვის, ქართველი ერის ღირსებისათვის... მუდამ უნდა ვსაზრდოობდეთ ილიას ოპტიმისტური ხედვით:

***„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია,***
***აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია...“***

რამდენიმე ხნის წინ მქონდა პატივი აჭარიდან ხარაგაულში ჩამობრძანებულ ცნობილ თეატრმცოდნე ნერონ აბულაძესთან საუბრისა. ეს შეხვედრა კი იმ დიდ აღიარებასთანაა დაკავშირებული, რაც ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) და მისმა ნიჭიერმა დასმა მოიპოვა. ილია ჭავჭავაძის ნათელი ცხოვრებითა და მისი საპროგრამო იდეებით ამეტყველებული სპექტაკლი „თანამდევი სული“ პოპულარობით გასცდა საქართველოს სივრცეს და უკვე საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანა მოიცვა (თურქეთი, ბელგია, ლატვია...).

სპექტაკლითა და თეატრის შემოქმედებითი ცხოვრებით დაინტერესებულია აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებელი.

„-ერის ცხოვრება, მისი წინსვლის აუცილებელი საჭიროებანი ორგანულად არის შერწყმული იმ გზასთან, რომელსაც დიდი ილია გვიქადაგებს, - ბრძანებს ბატონი ნერონი - შეიძლება ვთქვათ, რომ ილია მარად თანამედროვეა, ეროვნულია და ჩვენი მიზანიც ისაა, რომ გავაძლიეროთ მისი გზით მავალი ეროვნული ძალები.

იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე, რომლის ჟიურის წევრიც გახლდით, ვნახე ქართული ლიტერატურის კლასიკურ მემკვიდრეობაზე შექმნილი ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი,“ მოვიხიბლე მისი რეჟისორული გადაწყვეტით და ცალკეული როლის შემსრულებელ მსახიობთა ოსტატობით. ჩვენი ტელევიზიის პროექტით „ტელესპექტაკლი“ ჩავწერეთ „დარისპანის გასაჭირი“ ამჯერად კი ამავე პროექტით ფართო გზა მივეცით „თანამდევ სულს.“ სპექტაკლის ტელეპრემიერას დაინტერესებული მაყურებელი აჭარის ტელევიზიით 30 სექტემბერს, 18:30 სთ-ზე იხილავს.

მთელი წლის განმავლობაში ტელესპექტაკლთან შეხვედრა რვაჯერ იქნება შესაძლებელი. აჭარის ტელევიზია მომავალშიც ინტენსიურ შემოქმედებით ურთიერთობას განაგრძობს ხარაგაულის თეატრთან და მის, ძალზე საინტერესო იდეებით შთაგონებულ, რეჟისორ ქალბატონ ირინე ჩხეიძესთან.

ირინე ჩხეიძე: - უკვე წლებია, რაც აჭარის ტელევიზია გვხიბლავს ღრმაშინაარსიანი გადაცემებით: „ერთი დღე სოფელში,“ „ეთნოფორი,“ „სცენა,“ „უცხო სუნელი.“ განსაკუთრებით საინტერესოა პროექტი „ტელესპექტაკლი.“ ამ პროექტით ჩვენი ორი სპექტაკლი - „დარისპანის გასაჭირი“ და „თანამდევი სული“ - უკვე შეემატა ტელევიზიის „ოქროს ფონდს, “ რაც ძალზე აძლიერებს ჩვენი თეატრის თითოეული წევრის სამომავლო პასუხისმგებლობას.

აქვე მინდა, გამოვხატო მადლიერება, რომ გადაცემა „ეთნოფორმა“ სამჯერ დაუთმო სატელევიზიო სივრცე ჩვენს ანსამბლებს - „ოდილას“- ერთჯერ და „უბისს“ - ორჯერ.

„თანამდევი სულის“ აღნიშნულ პროექტში მოხვედრა ძალზე მნიშვნელოვანია. 2017 დიდი ილიას საიუბილეო წელია და ამ პროექტით ქართველი საზოგადოება, ჩვენი მომავალი თაობა კიდევ უფრო გაითავისებს იმ დიად მიზანს, რასაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უძღვნა დიდმა მამულიშვილმა.

საყურადღებოა თვით ჩვენი თეატრის პროექტი „თეატრი სკოლისათვის“, რითაც მჭიდრო კონტაქტი გვაქვს დამყარებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლასთან. დისკებზე გადატანილი „დარისპანის გასაჭირი“ 26 სკოლას გადავეცით საჩუქრად.

მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც ახლავს სპექტაკლის სრულყოფილად ჩაწერას, ვფიქრობ, დამაკმაყოფილებლად გავართვით თავი. მწამს, „თანამდევი სულის“ ტელევერსია ისეთივე რეიტინგს მოიპოვებს, როგორიც აქვს„დარისპანის გასაჭირს.“ მალე მასაც დისკზე გადავიტანთ და მივაწოდებთ მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობას.

* * *

ამ წერილის ავტორი, როგორც რიგითი მოქალაქე, დიდ სიხარულთან ერთად პატივისცემას გამოხატავს აჭარის ტელევიზიის მიმართ, რომელიც ასეა დაინტერესებული ხარაგაულის კულტურული ყოფით, ხარგაულის ნიჭიერ შემოქმედთა კიდევ უფრო მეტი პოპულარობით.

განსაკუთრებულია ჩემი მადლიერება „თანამდევი სულის“ ჩაწერის გამო, ეს ხომ ხარაგაულის სახალხო თეატრის „ოქროს“ სპექტაკლია, რომლითაც ნიჭიერმა რეჟისორმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი დიდი ილიას იდეების მარადიულობას.

***„ნისლი ებურა წიწამურს, ტყიანს...***
***და იდგა დარი მკაცრი და ქუში,***
***მათ უკვდავებას ესროლეს ტყვია,***
***მაგრამ შავ სიკვდილს მოარტყეს გულში.“***

პოეტის ამ სტრიქონებში კიდევ ერთხელ იკვეთება, რომ შავმა სიკვდილმა დიდი ილია მხოლოდ ფიზიკურად განაშორა თავის საფიცარ ერს, მისი იდეების უკვდავება კი მარადიულია, რომელსაც ვერავითარი ბოროტება ვერ მისწვდება.

გიხაროდენ!

„ოქროს“ სპექტაკლი „ოქროს ფონდში“ დაბინადრდა!..

მერი გიორგიძე

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად დასრულებულ და მიმდინარე პროექტებს ადგილზე ეცნობა.

- ამჟამად გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს სოფელ მაქათუბანში და მოსახლეობას სულ მალე კეთილმოწყობილი გზით შეეძლება გადაადგილება. პროექტის ფარგლებში, აქ გზა ორ ნაწილად გაკეთდება. ბეტონის საფარი დაიგება სოფლის ცენტრალური გზის 2 000 მეტრიან მონაკვეთზე, ხოლო გამცემლიძეების უბანში 650მ სიგრძის გზა კეთილმოეწყობა. გარდა ამისა, ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ვაშლევში, კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტაძართან მისასვლელ გზას (880მ.) .

აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დავითი“ ასრულებს. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 422 988 ლარით დაფინანსდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ვაშლევში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულდა, რაც შეეხება მაქათუბანს, სამუშაოები სექტემბრის შუა რიცხვებში დამთავრდება.

ცენტრალური საავტომობილო გზის 2 200 მეტრიანი მონაკვეთის მობეტონების სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ საქარიქედზე. პირველ ეტაპზე სოფელში ბეტონის საფარი 1კმ-სა და 300 მეტრზე მოეწყობა. პროექტი გარდამავალია და გზის დარჩენილ მონაკვეთს რეაბილიტაცია მომავალ წელს ჩაუტარდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი მალხაზ ფხალაძე ადგილობრივ მოსახლეობასა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდნენ და გზაზე მიმდინარე სამუშაოებს მათთან ერთად გაეცნენ. განიხილეს რამდენიმე პრობლემური მონაკვეთი და ერთობლივი შეთანხმებით დასახეს მათი მოგვარების გზები.საქარიქედზე გზის მშენებლობა რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება.

კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება ფარცხნალში, აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელ გზას.

2017 წელი, ხარაგაულისთვის საამაყო პიროვნების, ქართველი ასტრონომის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ევგენი ხარაძის საიუბილეო წელია. მას 110 წელი უსრულდება დაბადებიდან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, დასრულებული პროექტის გახსნა ფარცხნალში, ევგენი ხარაძის სახლის ეზოში, ღონისძიებით აღინიშნება.

პროექტის ფარგლებში მობეტონდება 1 კმ-იანი გზის მონაკვეთი. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს გზის გასწორებითი სამუშაოები და სანიაღვრე არხების მოწყობა. პროექტზე რეგიონული განვითარების ფონდი 176 124 ლარს დახარჯავს. ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა 5%-ია.

ბეტონის საფარი გზის 800 მეტრიან მონაკვეთზე დაიგება სოფელ ნებოძირში, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან 159 970 ლარით დაფინანსდა. გზის რეაბილიტაციის პროცესი ნებოძირში სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

რეაბილიტირებულია გზა სოფელ ვეტყვილაში და ამჟამად გზის გასწვრივ სანიაღვრე არხებისა და გვერდულების გასწორების სამუშაოები მიმდინარეობს.

ვერტყვილას გზა რეგიონული განვითარების ფონდიდან 124 909 ლარით დაფინანსდა. პროექტის ფარგლებში კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლის ცენტრალური გზის 800 მეტრიან მონაკვეთს.

ღარიხევში სოფლის ცენტრალური გზის 600 მეტრიანი რთული მონაკვეთი მობეტონდა. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 63 109 ლარით დაფინანსდა.

ღარიხევის მოსახლეობა კმაყოფილია. სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობამ მოსახლეობას ბევრი პრობლემა მოუხსნა.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ

გაგრძელება ▶ 4 გვ.

## ღარიხევის სკოლა ახალ სასწავლო წელს ჩეპბილიტაციგამული შენობაში შეხვდა

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე ღარიხევის დაწყებითი სკოლის საზეიმო გახსნას დაესწრნენ და იქ მყოფ საზოგადოებას ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

ღარიხევის სკოლა 109 წლისაა და მისი რეაბილიტაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა. სკოლის დირექტორმა, იზოლდა ოკრიბელაშვილმა, მადლობა გადაუხადა ბატონ **კობა ლურსმანაშვილს,**

რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა აღნიშნული შენობის რეაბილიტაციაში.

ამავე დღეს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს კიცხის საჯარო სკოლის პედკოლექტივსა და მოსწავლეებს, ხოლო შემდეგ ბორის სკოლა-პანსიონს ესტუმრნენ. ბორის საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს რეაბილიტირებული შენობით შეხვდა. გარემონტდა პირველი და მეორე სართული, მოეწყო სპორტდარბაზი, პანდუსები და რესურსოთახი. ბორის სკოლა-პანსიონის რეაბილიტაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან 190 000 ლარი დაფინანსდა.

თამარ მაღრაძე

# წინ ლილი გზსს...

ინტერვიუს დასაწყისში ჩემი რესპონდენტი- ფიზიკურად მშვენიერი და ძალზე წარმატებული ახალგაზრდა-საოცრად სიტყვაძვირი მეჩვენა და გონებაში ისეთი  გზების ძიება დავიწყე, რომ მას ჩემთვის  „ვერ ეჯობნა"... როცა მამა ვუხსენე, ყმაწვილს სახეზე სევდის ძლიერმა ტალღამ გადაუარა...

## „არ მოსწრებიხარ შენ მშობელ მამას..."

სულ რვა  თვისა იყო ზაურ ბერაძე- საქართველოს ჩემპიონი და ევროპის  პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში- როცა 1998 წლის  8 იანვარს მამა, გია ( გიორგი) ბერაძე  ( დასავლეთ საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში), ადრიან დილით სოფელ ხიდართან ახლომდებარე აზარეულის მთისაკენ, მწყემსების საზამთრო  სადგომისაკენ , გაეშურა. საღამოს შინ ასევე ადრიანად უნდა დაბრუნებულიყო. შეღამდა... გია არ ჩანდა...შიშმა აიტანა ოჯახი, ახლო მეზობლები...გათენდა... მთელი სოფელი ფეხზე  დადგა, ერთ მუშტად შეიკრა გიას სამეგობრო და ყველამ მთას მიაშურა...  ჩვიდმეტ დღეს ეძებდნენ,ფეხდაფეხ მოიარეს  მთა და მისი შემოგარენი, თითქმის მტკაველი მიწაც  აღარ დარჩათ მოუძიებელი...და ბოლოს უეცრად წაანწყდნენ გიას ცხედარს...ყინულსა და თოვლს გულში ჩაეხუტებინა სოფლის რჩეული ვაჟკაცი, ჭირსა და ლხინში ყველას თანამდგომი ... გაფრთხილებოდა, რომ ვაჟკაცის ლამაზი სახე ყვავ-ყორნებს არ დაესახიჩრებინათ, მხოლოდ  საფეთქელთან აღბეჭდილიყო უნებლიე ტრავმის კვალი...

***

ბედნიერი ოჯახის დედა, სვანეთის ამაყი ბუნების ასული, გიას უსაყვარლესი მეუღლე, ნონა ზურაბიანი, ქვრივის საბურველით  დაითალხა, თუმცა წამითაც  არ დავიწყება, რომ ავი წუთისოფლისთვის  „თვალი ერთ ბეწო ხანს არ მოეხუჭა", მამობის  ტვირთიც აიკიდა  სუსტ მხრებზე და ასე გაუძღვა ორ ობოლ  ჩვილს - ნათიასა და ზაურს-ამქვეყნიური ყოფის  ოკრობოკრო გზებზე სვლის გასაადვილებლად...

-დედა ჩემთვის ყველაფერია...დღეევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, მიკვირს, რა ძალა ჰქონდა  სულში ჩასახლებული...შრომასთან ერთად მუდამ გვინერგავდა და ახლაც გვიძლიერებს მოყვასისთვის ვალის  გადახდის გრძნობას, რომ ჩვენ დიდ ვალი გვაქვს სოფლის წინაშე, ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვინც ქვრივს ხელი შეაშველა, რომ ჩვენ, მამით ობლები, სწორ გზას არ ავცდენოდით და საკუთარი ადგილი დაგვემკვიდრებინა ცხოვრებაში.

მამა? ასე მგონია, სპორტში ჩემი მიღწევებით მამის ნაადრევად შეწყვეტილ სვლას ვაგრძელებ... თურმე მამის ოცნება იყო, რომ მე  „მაგარი" ბიჭი გავზრდილიყავი, ჭიდაობაში მეპოვა ჩემი თავი... მამის სურვილი კარგად იცოდა მისმა უკეთილშობილესმა მეგობარმა, ბესო ბერაძემ, როცა ჯერ კიდევ ხიდრის დაწყებითი კლასის მოსწავლე, ჩემს მომავალ პირველ მწვრთნელთან, ფიზიკური აღზრდის  პედაგოგ ბესო გიორგაძესთან, ჩამიყვანა კიცხში, მამაჩემის სურვილი უამბო... და, ამ კეთილი ადამიანების წყალობით, ჩემი წარმატებების მყარ ფუნდამენტად იქცა  კიცხის საშუალო სკოლასთან არსებული ჭიდაობის სექცია...

თავის დროზე მამაჩემს დიდი სპორტული ასპარეზი ელოდებოდა, თუმცა იმდროინდელი პირობების გამო ოჯახმა ვერ შეძლო მისი თბილისში გაგზავნა, რითაც  ჩამოშორდა  სპორტულ სარბიელზე წინსვლას... ეს კარგად იცოდა დედაჩემმა და მსგავსი ჩემს ბიოგრაფიაშიც რომ არ  განმეორებულიყო, თბილისში ბიძის კერაზე დავიდეთ ბინა, გავხდი დედაქალაქის 114-ე სკოლის მოსწავლე. დავიწყე სერიოზული წვრთნები წერეთლის პროსპექტზე  მდებარე  სპორტულ მანეჟზე, შემდეგ  გლდანის ოლიმპიურ ბაზასა და ფალავანთა  კლუბში გადავინაცვლე ( მწვრთნელები როინ დობორჯგინიძე, რობინზონ ჩალაძე)...

***

...და დაიწყო ზაურ ბერაძის საიმედო ნაბიჯებით სვლა დიდი სპორტისაკენ: 2012 წლიდან იგი საქართველოს ჭიდაობის ნაკრების წევრია, მარტოოდენ იმ ქვეყნების ( უპირველესი მშობლიური საქართველოა! ) ჩამონათვალიც  კი საკმარისია, სადაც  ასე ლამაზად იწერება „ხიდრელი ბიჭის" სპორტული ბიოგრაფია:  ბულგარეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა, ესპანეთი, გერმანია, ფინეთი, საბერძნეთი...

ყვარელი - საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში - საქართველოს ჩემპიონი...

ონი -ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, დავით გობეჯიშვილის, სახელობის საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი - პირველი ადგილი, ოქროს მედალი, თასი (მწვრთნელი კახა დობორჯგინიძე);

ბაქო - საერთაშორისო ტურნირი „ბაქოს გრანპრი" - მეორე ადგილი;

გერმანია - ევროპის ჩემპიონატი - ევროპის პრიზიორი;

ბულგარეთი, ვარნა - პეტკო სირაკოვისა და ივან ილიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი - ოქროს მედალი...

***

-მკრეხელობად ნუ ჩამითვლით - აგრძელებს საუბარს ჩვენი საამაყო ვაჟკაცი - ჩემზე დიდ ზეგავლენას ახდენს დიდი გალაკტიონის პოეტურ სულში ჩაჭედილი მამის ხატება... გალაკტიონი ხომ მამის გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ მოევლინა ამ სამყაროს... როგორი რეალობით გარდაისახა მამის მონატრების ძლიერი გრძნობა სტრიქონებში:

***„მოხუცი მამა, მოხუცი მამა***
***სასხლავით ხელში დადის ვენახში..."***

მე კი თითქოს ცხადად ვხედავ, რომ ნებისმიერ ჩემს ასპარეზობაზე მაყურებელთა შორის მამაჩემიც  ზის თავის სამეგობროსთან ერთად, ბედნიერების სხივანთებული თვალებით მომჩერებია და აღფრთოვანებით მიკრავს ტაშს...

***

მინდოდა, ორიოდე სიტყვა წარმატებული ვაჟკაცის დედაზე, ქალბატონ ნონა ზურაბიანზეც (ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის" მთავარი სპეციალისტი, სოფელ ხიდრის მაჟორიტარი დეპუტატი) მეთქვა, თუმცა ეს აღარ დამჭირდა, რადგან საგაზეთო წერილზე მუშაობის დროს „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში" ხარაგაულში  ტრენინგზე მყოფმა ხიდრის საჯარო სკოლის პედაგოგმა, ხათუნა ბერაძე - ჩაჩანიძემ, შემთხვევით შემოაბიჯა და ეს მისია მას მივანდე...

-ქალბატონი ნონა ზურაბიანი სოფლის იმედია, სიკეთის ხორცშესხმული სახეა... რომელ ოჯახშიც კი შეაბიჯებს, ყველგან ასხივებს რწმენას, იმედს... არ იფიქროთ, რომ მხოლოდ სიტყვით, სიტყვის იქით მუდამ საქმეა, დაპირების რეალური ნაყოფია... ის ხიდრელთა „თავსაფრიანი დედაკაცია," რომელიც სიმართლისა და უმწიკლო პატიოსნების გზებზე სვლით აუცილებლად აღწევს, რაც სოფელს სჭირდება, რაც შვებას აძლევს ავადმყოფს, ხეიბარს, შეჭირვებულს, ახალგაზრდას უძლიერებს მოტივაციას, რომ  „შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად" და მასთან მისული ნებისმიერი მთხოვნელი რწმუნდება, „რომ ყველაფერი კარგად იქნება".

როცა ნიკო ლორთქიფანიძის  „თავსაფრიან დედაკაცს" ვასწავლი, თვალწინ ქალბატონი ნონა მიდგას, რომელსაც

***„ვერ აჩერებს კედელი,***
***მარკა,***
***სიშორე,-***
***გადიფრენს, იშოვის, გადივლის...***
***თავისას კი მიაღწევს:***
***დახმარებას გამოითხოვს,***
***ოჯახს არ უმტყუნებს...***
***„სოფელს სამართალს***
***მოუნახავს".***

ქალბატონ ნონას „კაბაში გადაცმულ კაცს" უწოდებენ მისი მეუღლის მეგობრები და არ ცდებიან, რადგან მის პიროვნებაში ქალურ სინაზესთან შერწყმულია მამაკაცური ძალა, დედობრივი გულისხმიერება, სოფლისა და მოყვასის სიყვარული... სწორედ ამ ძალით დააოჯახა ქალიშვილი ნათია; არის ბედნიერი ბებია, მოსიყვარულე სიდედრი...

***

მჯერა, ზაურ ბერაძე კვლავ უამრავი წარმატებით გაგვახარებს, რადგან ცხოვრების წესად აქვს ჩამოყალიბებული - არ დაზოგოს ძალა, ენერგია, ყოველდღიური ინტენსიური წვრთნითა და მონდომებით განაგრძოს სვლა დიდი გზისაკენ... თავდადებულ შრომას ახლავს დიდი ოპტიმიზმი, იცის, რომ ამ გზაზე უწინამძღვრებს დედის ღვთიური მადლი, მამის ნათელი ხსოვნა, უწინამძღვრებს გულში შემოფრენილი სიყვარულის დიდი ძალა (ტელეფონზე საუბრისას  რომ გამანდო მოკრძალებით...)

- ვეძებდი ჩემი ბედის (ობლობა) მსგავსს, როცა ასეთი გავიცანი, ვუცქერდი მის განვლილ და სამომავლო ცხოვრებას ჩემი დედიკოს თვალებით, რომ გვერდით მყავდეს ისეთი მეგობარი, რომელიც ბედნიერ სიბერესთან აზიარებს ადრეულად ცალულღელად დარჩენილ ჩემს მშობელს... მანამდე კი დიდი დროა, დიდი სპორტული მიზნები მაქვს განსახორციელებელი, ბარიერები გადასალახავი...

ამჯერად ვემზადები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, სხვა თანმხლებ ასპარეზობებში დამაჯერებელი წარმატებების მოპოვებისათვის...

**ჩვენო ზაურ!**

**დაე ყველა ნატვრა-სურვილი აგისრულოს ზენაარმა შენი სამკვიდრო ხიდრის, ხარაგაულისა და სრულიად საქართველოს ბედნიერებისათვის, იმ დიდი სიყვარულის გასახარჯავად, რომელიც ასე უხვად დაუვანებია უფალს შენს სპეტაკ სულში...**

**გვეამაყები, ნამდვილად გვეამაყები!**

მერი გიორგიძე

# რა სიახლეებით ხვდება სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება ახალ სასწავლო წელს

სკოლამდელი ასაკის მოზარდთა აღზრდა-განათლება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით ახალი საბავშვო ბაღები აშენდა ისეთ სოფლებში, სადაც მსგავსი ტიპის დაწესებულება არასდროს ყოფილა. იმისთვის, რომ ბაღები თანამედროვე სტანდარტებს კიდევ უფრო შეესაბამებოდეს, გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება და ამჯერად პატარა აღსაზრდელები კომფორტულ და მოწესრიგებულ გარემოში იღებენ განათლებას.

რა სიახლეებით ხვდებიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ახალი სასწავლო წლის დაწყებას და იგეგმება თუ არა კიდევ რომელიმე სოფელში ახალი ბაღის აშენება - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, მამუკა ჭიპაშვილი, გვესაუბრება.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის ორი ახალი დაწესებულება გაიხსნა, ხევში მოხდა ახალი ჯგუფის დამატება, ოქტომბერში დასრულდება ნადაბურის ბაღის მშენებლობაც, ასევე  სოფელ მარელისში ალტერნატიული  სკოლამდელი ჯგუფი გაიხსნა. ერთ წელიწადში სამი ახალი ბაღის, ერთი ახალი ჯგუფისა და მზაობის ჯგუფის გახსნა, ვფიქრობ, ცოტა არაა.

ასევე, ზაფხულის განმავლობაში დაზოგილი თანხებით შევძელით ჩაგვეტარებინა კოსმეტიკური სამუშაოები. დაბის პირველ საბავშვო ბაღში მოწესრიგდა რამდენიმე ოთახი, მათ შორის, საკონცერტო დარბაზი.  სოფლის ბაღების გამგეებთან ერთად გავეცანით სად რა ხარვეზი იყო და შესაძლებლობის ფარგლებში მოვაწესრიგეთ. მაქსიმუმს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად წარმართვას ხელი არ შეეშალოს.  ყველაზე სასიხარულო  არის ის, რომ  შესაძლებლობა მოგვეცა, სახელფასო კლება, რომელიც წლის დასაწყისში განხორციელდა, 10%  -მდე შეგვემცირებინა. სექტემბრიდან ხელფასები ეტაპობრივად მოემატებათ მათ, ვისაც შარშანდელთან შედარებით 10 % -ზე მეტი შეუმცირდათ.  ვერ ვახერხებდით  ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების მატებას, მაგრამ უახლოეს პერიოდში ესეც მოწესრიგდება.

ამ დროისთვის ერთადერთი პრობლემა გვაქვს ზვარის ბაღთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, რომ შენობა მეწყრულ ზონაში მდებარეობს და გეოლოგების დასკვნის გარეშე იქ სასწავლო პროცესის განახლება შეუძლებელია. დასკვნა, დაახლოებით, ოქტომბრის შუა რიცხვებში იქნება, რასაც ვერ დაველოდებით და ამიტომ ალტერნატიულ  შენობას ვარჩევთ, სადაც დროებით განთავსდება ბაღი. იმედია, გეოლოგების დასკვნა დადებითი იქნება და  ზვარის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სწავლა ჩვეულ რიტმში განახლდება.

***– რა სიახლეები იგეგმება სამომავლოდ?***

– ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალი წლიდან შესაძლებელი იქნება პირველი საბავშვო ბაღის გაზიფიცირება. ამ საკითხთან დაკავშირებით არის  დადებითი გზავნილები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. ასევე ახლად გახსნილ ბაღებში მოსაწყობია ეზო, საბავშვო მოედნები. ყველანაირად ვეცდებით, მომავალი წლის ბიუჯეტში  ამ პრობლემის გადასაჭრელად  გარკვეული თანხები ჩაიდოს. მომავალ წელს იგეგმება ვერტყვიჭალასა და საღანძილეში ახალი ბაღების აშენება. ამ ეტაპზე პროექტზე  მუშაობა მიმდინარეობს, რომელიც წლის ბოლოს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბრიდან იწყება საბავშვო ბაღების ავტორიზაცია, რომელიც 2018 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს, ველოდებით გარკვეულ მითითებებსა და რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ახალი რეგულაციების დანერგვა.

***– გასულ წელთან შედარებით ხომ არ მოხდა აღსაზრდელების კლება, როგორი ვითარებაა ამ მხრივ ახალ საწავლო წელს?***

– წელს იმაზე მეტია მსურველი, ვიდრე წინა წლებში იყო. კლება ნამდვილად  არ შეინიშნება, რაც ძალიან სასიხარულოა ყველა ჩვენგანისთვის, თუმცა ეს დამატებითი ჯგუფების გახსნის საჭიროებას აუცილებელს გახდის. ღორეშაში წელს რამდენიმე ბავშვი  ბაღის გარეშე დარჩა, მაგრამ  ამ ვითარებაში არსებულ ჯგუფში დამატება შეუძლებელია, ვიდრე მოთხოვნა 10-15 ბავშვამდე არ გაიზრდება.

***– და ბოლოს - რას ეტყოდით აღმზრდელებს, აღსაზრდელებს?***

მინდა, მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება ჩვენს აღსაზრდელებს, აღმზრდელებსა და მშობლებს.  წარმატებული სასწავლო წელი ვუსურვო და ვუთხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, დღეს ბაღების გაერთიანებაში გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს, რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება, მაგრამ ვპირდები მათ, რომ რისი შესაძლებლობაც მუნიციპალიტეტს ექნება, მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა საუკეთესო პირობები შევუქმნათ ჩვენს ბავშვებს!

ლელა გუგულაშვილი

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პირველკურსელებს შეხვდნენ

13 სექტემბერს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში (დირექტორი ნინო დიდიძე) პირველკურსელ სტუდენტებთან  ტრადიციად ქცეული  შეხვედრა გაიმართა. უკვე მეხუთე წელია, რაც მამუკა ჭიპაშვილის ინიციატივითა და ,,ტურიზმის ცენტრის" (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ორგანიზებით, მსგავსი ტიპის შეხვედრები ტარდება. ღონისძიებას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა,  კურსდამთავრებულებს სტუდენტობა მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს პერიოდი მათ  ცხოვრებაში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია. ,,სტუდენტობა საუკეთესო პერიოდია ცხოვრებისეული გამოცდილებისა და თეორიული ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ხარაგაულში იყოს დასაქმების პერსპექტივა და ახალგაზრდები დაუბრუნდნენ მშობლიურ რაიონს.ფეხბედნიერი იყოს თქვენი სტუდენტობის პირველი ნაბიჯები, უფალი წინამძღვრობდეს თქვენს გზას! "-დასძინა დეპუტატმა.

ახალგაზრდებს სტუდენტობა მიულოცა და წარმატებები უსურვა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ .

„ჩემო ძვირფასებო,  გილოცავთ სტუდენტობას!  ერთადერთი რჩევა, რაც შემიძლია,  მოგცეთ, ისაა, რომ მინდა უფრო ახლოს იყოთ წიგნთან, თქვენი ნიჭიერება უნდა გააძლიერეოს წიგნთან ინტენსიურმა ურთიერთობამ, რათა ჩამოყალიბდეთ პროფესიონალებად. იცოდეთ დროის ფასი, დროის სწორად გამოყენება. მისი დაგეგმვა, მოგცემთ უნარს, რომ ყოველივე დაარეგულიროთ, მართოთ სრულყოფილად თქვენი სამომავლო ცხოვრების საჭე..."- აღნიშნა გამგებელმა.

პირველკურსელებს სტუდენტობა მიულოცეს ასევე ტურიზმის ცენტრის დირექტორმა ბერიკა თურმანიძემ, ბაღების გაერთიანების დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელმა აკაკი ლურსმანაშვილმა.

მილოცვების მიღების შემდეგ, ისტორიკოსმა ზეინაბ ბუაჩიძემ ახალგაზრდებისთვის წაიკითხა ლექცია - „ხარაგაული ჩემი სახლია". ღონისძიების დასასრულს კი სტუდენტებისათვის კაფე „ეიფელში" ურთიერთობის ლამაზი საღამო მოეწყო.

შეგახსენებთ, რომ  წელს ხარაგაულიდან უმაღლეს სასწავლებელში  91 აბიტურიენტი ჩაირიცხა.  ორი მათგანი კი -ნინო ჭყოიძე და ავთანდილ ციცქიშვილი- 100%-იანი გრანტის მფლობელი გახდა.

თამარ მაღრაძე

## გამგებლის მოადგილემ თემურ ჩხეიძემ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადასცა

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ, ეტლები გადასცა. აქცია „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა“ საერთაშორისო ორგანიზაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ (თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე) მხარდაჭერით განახორციელა. თანამედროვე, რბილი სავარძლის მქონე, კომფორტული ეტლები ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით ისეთ პირებს გადაეცათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდათ ეტლი, ან ჰქონდათ, მაგრამ დაზიანებული. თემურ ჩხეიძემ, ბენეფიციარები პირადად მოინახულა და მათ საჭიროებებს ადგილზე გაეცნო.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის აქცია საერთაშორისო ორგანიზაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის„ ხარაგაულში უკვე რამდენჯერმე განახორციელა და ბოლო ორი წლის განმავლობაში აქციაში დაახლოებით 35 ბენეფიციარი ჩაერთო.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

დასაწყისი ▶ 3 გვ.

თოფურიძემ სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ვარლამ ჭიპაშვილთან ერთად გზის დასრულებული პროექტი დაათვალიერა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულს გამორჩეულად აქტიური დეპუტატი ჰყავს და ეს ამ თემში შემავალ სოფლებზე ნათლად აისახება.

ვარლამ ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა ნიკოლოზ თოფურიძეს თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ მომავალ წელს სოფელ ქროლის ცენტრალური გზის რეაბილიტაციის პროექტში ადგილობრივი ხელისუფლებისგან მხარდაჭერას ელოდება.

ვიზიტის ფარგლებში გამგებელმა სოფლის ხელმძღვანელობასთან ერთად ღარიხევის ახლად რეაბილიტირებული საუკუნოვანი სკოლა მოინახულა. ღარიხევის დაწყებითი განათლების სკოლა წელს 4 მოსწავლეს მიიღებს. პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, მომავალ წლებში მუნიციპალიტეტში უპრეცედენტო რაოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება და გზა ყველა სოფელში შევა. პირველ ეტაპზე კი იმ ადმინისტრაციულ ერთეულებს მიენიჭება პრიორიტეტი, სადაც კომპაქტური დასახლებებია.

ლელა გუგულაშვილი

## მინი ფეხბურთის გამარჯვებული „რიყის'' გუნდი გახდა

29 აგვისტოს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა (ხელმძღვანელი ოთარ ლურსმანაშვილი) და საკრებულოს წევრის, ვარლამ ჭიპაშვილის, ორგანიზებით, მინი ფეხბურთის ჩემპიონატი ჩატარდა.

ტურნირში ხარაგაულის 10 სოფლის გუნდი მონაწილეობდა და ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს ხარაგაულის „რიყისა“ და სოფელ ხიდრის გუნდები დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ ჩემპიონატში გამარჯვება „რიყის“ გუნდმა მოიპოვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ და ტურნირის ბომბარდირად გიორგი კვირიკაშვილი, ხოლო საუკეთესო გოლის ავტორად ვაჟა ბერაძე დასახელდნენ. რაც შეეხება ფინალისტი გუნდების მეკარეებს, მათ ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, საკრებულოს წევრი ვარლამ ჭიპაშვილი, ხიდრის მაჟორიტარი დეპუტატი ნონა ზურაბიანი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სტუმრებმა გუნდებს ტურნირში აქტიური მონაწილეობისთვის ფასიანი საჩუქრები და მადლობის სიგელები გადასცეს.

თამარ მაღრაძე

## მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდებისა და ხიდბოგირების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში ხიდებისა და ხიდბოგირების რეაბილიტაცია განხორციელდა.

სოფელ მარელისში საფეხმავლო ხიდის რეკონსტრუქციის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 900 ლარი დაიხარჯა.

უბისაში მდინარე კვადოურაზე და მაქათუბანში მდინარე ხელმოსულაზე, მოეწყო ახალი ხიდბოგირები, რისთვისაც ხარაგაულის ბიუჯეტიდან 14 850 ლარი გამოიყო.

გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა ვარძიის პირველ უბანში შესასვლელ ხიდს, რომელიც, გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

ამჟამად მიმდინარეობს და მალე დასრულდება საავტომობილო ხიდის მშენებლობა სოფელ საბეში, ბილო ხიდის მშენებლობა სოფელ მდინარე ყარნებაზე. საბის ხიდის მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 18 162 ლარით დაფინანსდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინფორმაციით, მომავალ წელს დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სოფლებში, როგორც საფეხმავლო, ასევე საავტომობილო ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციას. გამგებელი ამბობს, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობისთვის და ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით. „მაგალითად, სოფელ ნადაბურში, გელაშვილების უბანში, გასასვლელი საავტომობილო ხიდის არარსებობა დიდ პრობლემებს უქმნის მოსახლეობას. მსგავსი სიტუაციები სხვა სოფლებშიც გვაქვს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსახლეობას გადაადგილება უჭირს იქ, სადაც სახნავ-საძოვრები აქვთ. ჩვენ დავავალეთ გამგებლის წარმომადგენლებს, ყურადღება მიაქციონ ამ მიმართულებით სოფლებში არსებულ მდგომარეობას და დროულად ჩააყენონ გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახური საქმის კურსში. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მომავალი 4 წლის განმავლობაში გზების მშენებლობასთან ერთად ხიდების მშენებლობაც უნდა დასრულდეს“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ნიკოლოზ თოფურიძემ.

წელს ხიდებისა და ხიდბოგირების მშენებლობა-რეკონსტრუქციის მიზნით ხარაგაულის ბიუჯეტიდან 36 012 ლარი დახარჯა.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა აგროტურით სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი მოინახულეს

8 სექტემბერს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზებითა (უფროსი ბონდო კიკნაველიძე) და მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ თოფურიძის, ხელშეწყობით, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიღაურაში აგროტური მოეწყო. ტურის ფარგლებში ჯიღაურაში ხარაგაულიდან გამგებლის წარმომადგენლები, ფერმერები და სხვა დაინტერესებული პირები იმყოფებოდნენ. კვლევითი ცენტრი მცხეთის მუნიციპალიტეტში 2014 წელს შეიქმნა, სადაც 80 ჰექტარზე განლაგებულია 500 სახეობის ვაზისა და 300-მდე სახეობის ხეხილის ჯიში. მისი მფლობელი გახლდათ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც აღნიშნული ცენტრი სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჩუქრად გადასცა.

„მსგავსი შეხვედრები ხშირად ხდება ფერმერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჩვენ გვაქვს გასვლითი შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობს დარგის პოპულარიზაციას. გარდა ამისა, შეხვედრები უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების მიწოდებას ფერმერებისთვის,“ - განმარტავს მებაღე-მევენახეობის კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მეხილეობის მიმართულებით, ელენე მაღლაკელიძე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ბონდო კიკნაველიძის ინფორმაციით, კვლევით ცენტრში ხარაგაულიდან ვაზის ორი ჯიში, ბაზალეთის „ცოლიკაური“ და ვერტყვიჭალის „შავი“ გვხვდება.

„ჩვენი მიზანია მევენახეებისა და ხეხილის მოყვარულთა დაინტერესება. ფერმერებმა საკუთარი თვალით უნდა ნახონ, თუ როგორაა გაშენებული ხეხილი და ვაზი. აგროტურის ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ხარაგაულის გამგებელს, ნიკოლოზ თოფურიძეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კვლევით ცენტრს.“- აღნიშნა ბონდო კიკნაველიძემ.

თამარ მაღრაძე

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი

**დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ლელა ბუბულაშვილი**